№ 81 მთავრობის მოამგე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, 14 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი უველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საბჭოთა რესპუბლიკა ტფილისი

სახელმწიფო თეატრი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, აპრილის 14, დილით **„ქეთო და კოტე“**. საღამოს მიხეილ ნანობაშვილის (მიშელ დარიალი) მეოთხე გასტროლი „მანონი“. 17 აპრილს ოპერა მუშებისთვის „ტოსკა“.

ოფიციალური განყოფილება

დროებითი კანონი

სახელთა წესდების და სახელთა დებულების ჯარიმის გადიდებისა.

1. სასჯელთა წესდების სათანადო მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1 მუხ. 2 პ. ფულით დაჯარიმება არა უმეტეს თორმეტი ათასი მანეთისა.

7 მუხ. ჯარიმა მისჯილს, რომელსაც ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, ეს სასჯელი შეეცვლება:

1) უკეთუ ჯარიმა ცხრაას მანეთს არ აღემატება, დაპატიმრებით არა უმეტეს 5 დღისა.

2) უკეთუ ჯარიმა 900 მანეთიდან თორმეტი ათას მანეთამდეა, დაპატიმრებით არა უმეტეს 3 თვისა.

8 მუხ. ვისაც ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, შეიძლება სასჯელი შეეცვალოს დაპატიმრების მაგივრად საზოგადო სამუშაოზე გაყვანით, ან ქირით სამუშაოზე გაგზავნით ჯარიმის ასანაზღაურებლად.

II. სასჯელთა წესდების დანარჩენ მუხლებში აღნიშნული რაოდენობა ჯარიმისა გადიდებულ იქნეს ორმოცჯერ.

III. სასჯელთა დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი: დებულების 84 მუხლი შეცვლილ იქნეს ამრიგად:

მუხ. 84 (ახალი რედაქცია) ვისაც ჯარიმა აქვს გადაწყვეტილი და ამ ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, ჯარიმა შეეცვლება:

1) უკეთუ ჯარიმა ცხრაას მანეთს არ აღემატება, დაპატიმრებით არა უმეტეს 5 დღისა.

2) უკეთუ ჯარიმა ცხრაას მანეთს აღემატება, მაგრამ უმცირესია თორმეტი ათას მანეთისა—დაპატიმრებით სამ თვემდე.

3) უკეთუ ჯარიმა თორმეტი ათას მანეთს აღემატება, მაგრამ უმცირესია სამოცი ათას მანეთისა—სატუსაღოში დამწყვდევით ერთ წლამდე.

4) უკეთუ ჯარიმა სამოცი ათას მანეთს აღემატება,—სატუსაღოში დამწყვდევით ხუთ წლამდე.

შენიშვნა: (გაგრძელებით) 84 მუხლისა გაუქმებულია.

2) ხსენებული დებულება შევსებულ იქნეს 83¹ მუხლით:

მუხ. 83¹ ამა დებულებით დაწესებული ფულით დაჯარიმების რაოდენობა გადიდებულ იქნეს ორმოცჯერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ივგ. გეგეჭკორი.**

დამატება № 1.

უ ს ა ს ტ ი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა.

№ № რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამ. პირ. რიც.	თვიური ჯამაგირი თითეულს	წლიური ჯამაგირი თითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მანეთი.		
	I.				
1	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი	1	ჯამაგირს	დაუნიშნავს	საკა-
2	მისი ამხანაგი	1	ნომდებ	ლო დაწეს	ბულება.
3	სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტის დირექტორი	1	6000	72000	72000
4	რევიზორი	2	4000	48000	96000
5	სახელმწიფო ბანკის კომისარი	1	4000	48000	48000
6	განსაკუთრებულ მინდობილობათა სპეციალისტები	2	4000	48000	96000
7	იურისკონსულტი	1	3000	36000	36000
	ჯამი	9	—	—	348000
	II.				
	მინისტრის საბჭო.				
1	საბჭოს წევრი	3	4200	50400	151200
2	მდივანი	1	2500	30000	30000
3	საქმის მწარმოებელი	3	2300	27600	82800
	ჯამი	7	—	—	264000
	III.				
	სამინისტროს კანცელარია.				
1	უფროსი	1	4000	48000	48000
2	საქმის მწარმოებელი	4	2000	24000	96000
3	მისი თანაშემწე	5	1800	21600	108000
4	რეგისტრატორი	8	1300	15600	134800
5	მანქანით გადამწერი	4	1300	15600	62400
6	სამეურნეო ნაწილის გამგე	1	2000	24000	24000
7	მისი თანაშემწე	1	1800	21600	21600
8	შიკრიკი	6	1225	14700	88200
9	მეკარე	2	1225	14700	29400
	ჯამი	32	—	—	602400
	სულ	48	—	—	1214400

1920 წ. თებერვლის 5.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლიმთაითიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

გადასახლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, თანახმად ტფილისის მილიციის უფროსის მოხსენებისა, დაადგინა გადასახლებულ იქმნან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მცხოვრებნი დიდი მთავრის ჭუჩაზე ქ-ნი მიხაილოვისა და სერაფიმა ნელუბინა, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტები.

მიწმობის გაცემა.

თანახმად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შუამდგომლობისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგებმა შესაძლოთ სცნო მიეცეს მუდმივი მოწმობა ბაქოში, სომხეთში, აზერბეიჯანში და შავი ზღვის გუბერნიაში გასვლის და დაბრუნების 1) მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგეს ალექსი ვლადიმირის ძე მილაშევსკის. 2) ამავე ბანკის გამგეობის წევრს ხარლამპი ვასილისძე ავტონომოვს, 3) ამავე ბანკის რწმუნებულს გრიგოლ პეტრეს ძე ურუსოვს და 4) სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ბათუმის რაიონის კონტორის გამგეს პეტრე ალექსანდრეს ძე შჩეპეტოვს.

შუამდგომლობა.

საბერძნეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დაერთოს საბერძნეთის ლტოლვილებს რიცხვით 18-კაცს კავკავიდან დაბრუნებისა.

მოქალაქეობის კანონი.

ოსეთის კომისარიატის იურიდიულმა განყოფილებამ აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 1919 წლის 27 მაისის რესპუბლიკის ქვეშევრდომობის კანონის ცხოვრებაში გატარების დროს პრაქტიკაში იბადება ისეთი კითხვები, რომელნიც ამ კანონში გარკვევით არ არიან მოხსენებული. ამიტომ კომისარიატის იურიდიული განყოფილება ითხოვს შემდეგი კითხვების განმარტებას:

1. გადადიან თუ არა ავტომატიურად (ქვეშევრდომობის კანონის 1-ლი მუხლი) საქართველოს ქვეშევრდომებათ ყოფილი რუსეთის ქვეშევრდომნი განურჩევლად ეროვნებისა, ე. ი. რუსები, პოლონელები, ესტონელები და სხვა, რომელნიც დასახლებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში 1914 წლის 19 ივლისამდე და მიწერილნი არიან რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე;

2. გადადიან თუ არა ამავე წესით და ამავე პირობებში საზოგადოდ ყველა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი;

3. გადადიან თუ არა ამავე წესით საქართველოს ქვეშევრდომებათ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა შვილები, საქართველოში დაბადებულნი და მუდმივ აქ მცხოვრებნი, რომელნიც ამ კანონის გამოცემამდე გახდნენ სრულ წლოვანნი;

4. ირიცხებიან თუ არა მიწერილათ სოფლის თემზე ყოფილი რუსეთის ქვეშევრდომნი თუმცა ისინი უკვე არიან მიწერილნი ადმინისტრატიულათ ამ თემზე, მაგრამ ცხოვრობენ აგარაკებში ამ თემის ფარგლების გარეთ და არ ღებულობენ მონაწილეობას ამ თემის ყრილობებში და არ იხდიან არავითარ თემის ბეგარას;

5. შესაძლებელია თუ არა ის პირნი, რომლებიც დღემდე არ გადარიცხულან საქართველოს მოქალაქეებათ და თავის თავს სთვლი ან უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებათ, არჩეულ იქნან ქალაქის და საერობო საბჭოების ხმოსნებათ და დანიშნულნი—არჩევითი—საზოგადოებრივ ხასიათის თანამდებობებზე;

6. შეიძლება თუ არა გაწვეულნი იქნან სამხედრო სამსახურში უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა შვილები და კერძოთ ოსმალების ქვეშევრდომნი სომხები და იყო თუ არა ამ საკითხის შესახებ საქართველოს და სომხეთის მთავრობათა შორის რაიმე შეთანხმება;

7. რა დამამტკიცებელი საბუთი უნდა მოეთხოვოს იმ პირთ, რომელნიც თავის თავს სთვლიან უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად და ამ შემთხვევაში მისაღებია თუ არა მხედველობაში პასპორტები, რომელიც ეძლევა ამ ჟამად სომხეთის კონსულის მიერ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს.

ოსმალეთ-ადერბეიჯანის კონფლიქტის გარშემო

(ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ საინფორმაციო განყოფილებიდან)

ყაზახიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე მოსულია შემდეგი დეპეშა:

„აპრილის 4, სომხეთის ჯარის რეგულიარული ნაწილები სრულიად უმიზეზოდ გადმოვიდა ყაზახის მაზრის საზღვრებზე და თავს დაესხა სოფ. იარადულას და მის მიდამოებს, სომხებმა აიკლეს და დასწვეს ეს მხარე. ამოქლიტეს ბალღები დ დედაკაცები. ამავე დღეს გენ.-გუბერნ. დელიჯანის კომისარს გაუგზავნა დეპეშა, სადაც მოითხოვდა შეწყვეტილ ყოფილიყო თავდასხმა. აპრილის 6-ს გენერ.-გუბერნატორს მოლაპარაკება ჰქონდა სომხეთის სარდლობასთან გენერ. ბაღდასაროვთან და პოლკ. მნაცაკანოვთან, რომელთაც აუთქვეს თავის ტერიტორიაზე ჯარის გადასხმა და დანთებულ ცეცხლის შეწყვეტა. ამ საქმის სალიკვიდაციოდ მათ დანიშნეს 7 აპრილი. შემდეგ გენერ.-გუბერნატორმა გასცა ბრძანება, რომ შეეწყვიტათ ბრძოლა, მაგრამ სომხებმა არამც თუ შესწყვიტეს ბრძოლა, პირიქით უფრო გააძლიერეს შეტევა და გადავიდნენ კოჩნაკილახში, ცეცხლით და მახვილით იკვლევდნენ გზას, დანიშნულ ვადაზე მოსალაპარაკებლად არ გამოცხადნენ სომხები და გენერ.-გუბერნატორის შეკითხვაზე, თუ სად იყო პოლკ. მნაცაკანოვი, მას უპასუხეს, რომ პოლკოვნიკი მოვა საღამოს 7 ს., მაგრამ დანიშნულ დროზე მაინც არ მოვიდა მნაცაკანოვი. სომეხთა შეტევა ეხლა გრძელდება. მათ გადასწვევს სოფ. მელიჯლი. სომხების ამისთანა საქციელზე ჩვენც იძულებულნი შევიქმნებით შესაფერისი პასუხი გავცეთ ყაზახის მაზრის რწმუნებულს“.

ხელს აწერენ: ქალაქის თავი უსუფოვი, ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორი ვეჭილოვი, კოჩარლინსკი, ისფანდიარ ვეჭილოვი და ალი გუსეინ ნასირ რაგიმოვი.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქ. მინისტრმა აპრილის 12-ს სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქ. მინისტრს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ყაზახის გენერ.-გუბერნატორი იტყობინება, რომ სომხებს დაურღვევიათ 9 აპრილის ხელშეკრულობა, რომელიც დაიდო ორ სახელმწიფოს შორის დაუყოვნებლივ შეწყვეტილ ყოფილიყო სომხეთ-მაჰმადიან საზღვრებთან შეტაკება. მიუხედავად ყოველივე იმისა, რომ ჩვენ საზღვრებზე ნაჩვენები იყო თეთრი დროშა, სომხებმა მაინც დასწვეს და აოხრეს სოფლები: ზემო აკსიბარი, ქვემო აკსიბარი, ფარხალი-ხეირბალი და სხვა მრავალი სოფლები. გატყობინებთ რა ამისთანა თავხედობის განმეორებას სომეხთა მიერ, გთხოვთ დაუყონებლივ შეტაკების წინააღმდეგ მიიღოთ სასტიკი ზომები.

გარეშე საქმეთა მინისტრი **ხან.-ხოისი.**

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

ადერბეიჯანიდან კონფერენციის წევრებია: პარლამენტის წევრები დ-რ ჰასანბეკ-აგაევი, საქართველოში ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ფარის-ბეგ ვეჭილოვი, და იუსტიციის მინ. ამხანაგი ოლგერ-ბეი კრიჩინსკი. სომხეთიდან: საგარეო საქმეთა მინისტრი ოგანჯანიანი, პარლამენტის წევრი

ს. ხ. ხაჩატორიანი, ტ. ა. ბეკზადიანი და ს. გ. მამიკონიანი. ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკის კონფერენციამ დაიწყო რა თავის მუშაობა ადგენს: პირველი, დაუყონებლივ შესწყვიტონ სისხლის ღვრა ყაზახში, ნახიჩევანში, ორდრუბახში და ყარაბახში. მეორე იმავე დროს კონფერენცია მოითხოვს, რომ ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობამ დაუყონებლივ მიიღონ ზომები, რათა მოსპობილ იქნეს ყოველივე შესაძლებლობა სომეხ და მუსულმან მცხოვრებთა შეტაკებისა ამ ორი რესპუბლიკის მიდამოებში. მესამე. საჭიროდ ეცნობოს ეს დადგენილება ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობას, რათა მათ ამ მიმართულებით სათანადო ზომები მიიღონ. კონფერენციის პრეზიდიუმი: გ. აგაევი. ს. მამიკონიანი, ე. გეგეჭკორი. 12 აპრილს სხდომაზე მიღებულია შემდეგი დადგენილება: კონფერენცია ირჩევს 6 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც ადგილობრივ ატარებს და კანტროლს უკეთებს კონფერენციის დადგენილებას, რომელიც შეეხება სისხლის ღვრის მოსპობას და „სტატუს-ქვო“-ს აღდგენას. 2 არკვევს და აშუქებს მომხდარ შეჯახებათა მიზეზებსა და სურათებს.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ინგლისური პრესა.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მთავრობა საფრანგეთისადმი მიმართულ თავის ნოტაში სამართლიანობის, უფლებისა და ადამიანობის სახელით, პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ჯარის მოქმედების გამო. ნოტა აცხადებს: გერმანიის მთავრობა თავის დროზე რომ არ ჩარეულიყო რურის საქმეებში, წითელი მოძრაობა მთელ გერმანიის რესპუბლიკას მოედებოდაო. ნოტა გამოსთქვამს აზრს, რომ გერმანიაში როგორი მთავრობაც არ უნდა იყოს ვერ მოაწესრიგებს და ვერ დაამყარებს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, თუ ის ყოველ ნაბიჯზე გაუმართლებელ წინააღმდეგობას შეხვდებაო.

ტოკიო, 6 აპრილი. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ აღმოსავლეთ ციმბირში,—ნიკოლსკში, და ხაბაროვსკში იაპონელებსა და რუსებს შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო.

მაინცზე საფრანგეთის შეტევა ბოლომდი მიიყვანეს. ბერლინიდან მოსული ცნობები ამტკიცებს, რომ ფრანკფურტისა, დარმშტადტისა და განაუს გარდა დაჭერილია კიდევ ოვენბახი, გამბურგი და ვისბადენი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გუშინ წითელმა ელბერფელდში გაიარეს, სადაც დიდმა უმეტესობამ იარაღი აიყარაო. წითელი ჯარის სხვა ნაწილი დაჭერილ ტერიტორიებისაკენ გაემგზავრა, უმთავრესად ზოლინგენისაკენ, სადაც მათ ინგლისელებმა იარაღი აყარეს.

ლონდონიდან მოსული ცნობით ოფიციალურად ცნობილია, რომ საფრანგეთმა განსაკუთრებული ზომები მიიღო გერმანიის წინააღმდეგ თავის საკუთარი პასუხისმგებლობით. ინგლისი, ბელგია და ამერიკა ამ ზომების წინააღმდეგ წავიდა. საფრანგეთის სამხედრო მოქმედებამ უხერხული მდგომარეობა გამოიწვია. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს თათბირს ასეთს მდგომარეობიდან გამოსვლის იმედით. ლონდონის თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი საოკუპაციო ჯარი დანიშნულია სხვა მიზნებისათვის, და ინგლისის არცერთი ჯარისკაცი ნეიტრალურ ზონის გერმანიის ქალაქების ოკუპაციაში მონაწილეობას არ მიიღებს.

ბერლინიდან იუწყებიან მთავრობის ჯარმა გუშინ საღამოს ესსენი დაიჭირაო. რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გერმანელები რამდენიმე დღის შემდეგ ნეიტრალურ ზონის ევაკუაციას მოახდენენ, რის გამოც საფრანგეთის ჯარი გერმანიიდან გამოყვანილი იქნება, რაც გერმანიასა თავის გადაწყვეტილი დამამტკიცებელი იქნება იმისა, რომ ხელშეკრულობის პირობების შესრულება აუცილებელია.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: კოვნოდან მოსული ცნობით რუსეთის საბჭოთა მთავრობა თანახმაა ლიტვასთან 15 აპრილიდან მოლაპარაკება დაიწყოსო.

ღამით რამდენიმე ათასი შეიარაღებული მუშა დაიმალა ინგლისის ზონაში, მოელიან კიდევ 10 ათასზე მეტს, გენერალმა (გვარი დამახინჯებულია) მაინცში საუბრის დროს განაცხადა რურზე გერმანელების შეტევის გამო არც ერთი ტონი ნახშირი არ ყოფილა საფრანგეთში გაგზავნილი იმ დროს, როდესაც წინათ ყოველ დღე 13 ათასზე მეტი ტონი იგზავნებოდაო.

მეზღვაურთა გაფიცვის გამო, მარსელიდან არც ერთი გემი არ გამოდის.

ბალშევიკური ცნობები.

პოლტარაცკი 30 მარ. **შრომის ფრონტი**. კრასნოვოდსკის რაიონში 16 ადგილას სწარმოებს მარილის დამუშავება. დამუშავებულია სამასი ათასი ფუთი მარილი.

ამყარებს რა შრომელთა მოწინავე წრეებში შოომის აწევის ნიშნებს, ყირილობა თავის ვალდებულებათ სთვლის გააფრთხილოს ყველა ადგილობრივი და ცენტრალური დაწესებულებანი საბჭოთა რესპუბლიკისა, რომ მათ არ გადაამეტონ მიღწეული შედეგების დაფასებაში. შრომის აწევა ნამდვილ გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს თუ: ა) ჩვენი პარტიისა და პროფესიონალური კავშირების სააგიტაციო—ორგანიზაციულ მუშაობით იგი მუშათა მოწინავე რაზმებიდან გავრცელებული იქნება ქალაქისა და. სოფლის მრავალ მილიონიან მშრომელთა მასაზე, ბ) ცენტრალური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რომ შრომის აწევას რაოდენობასა და ღირსებას ანგარიში გაუწიონ, სისწორითა და თავის დროზე ისარგებლონ მუშათა მოსულ ძალით, თავისი დროზე დასძლიონ ძალთა დაქსაქსოვას, კუსტრობასა და შრომის პარტიზანობას ისე, რომ ისინი არ მოსპონ, არამედ ნელნელა შეიყვანოს საერთა სახელმწიფოებრივ გეგმის ჩარჩოებში. ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ძირითად პირობას წარმოადგენს უკან დაუხევლად ცხოვრებაში გატარება საერთო სამეურნეო გეგმისა, რომელიც (უახლოეს) ისტორიულ ეპოქაში უნდა განხორციელდეს.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განადგურებისა და პირდაპირ გაღატაკების მიხედვით სამეურნეო გეგმა ბუნებრივად ნაწილდება რამდენიმე ერთმანეთზე დამოკიდებულ ძირითად საკითხებათ: ა) პირველად ყოვლისა ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესება, მოტანა და დაგროვება პურის, სათბობი და ნედლი მასალის აუცილებელ თადარიგისა; ბ) მანქანათა კეთება ტრანსპორტის მიზნისათვის და სათბობი და ნედლი მასალათა და პურის შეძენისათვის; გ) მანქანათა კეთებისათვის გაძლიერებული მუშაობა საერთო სახმარებელ სურსათ-სანოვაგის შესაძენად; დ) გაძლიერებული მუშაობა მისიურ სახმარებელ სურსათ-სანოვაგისათვის. ზემო ნაჩვენებ გეგმის გატარების დროს უნდა ვისარგებლოთ ტეხნიკურ ახალი მიღწევებით; საჭიროა ფართოდ ვისარგებლოთ ელექტრონის ენერგიით საერთო სამეურნეო გეგმის ცხოვრებაში გატარების ძირითად ეტაპების მიხედვით: ა) უნდა გამომუშავებულ იქნას სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის გეგმა ტ განხორციელდეს ელექტროფიკაციის პროგრამა მინიმუმი, ე. ი. უნდა მოხდეს გამოყოფა ელექტრომომარაგების ძირითადი მუხლებისა ტ ამ მიზნისათვის არსებულ საელექტრონო სადგურების გამოყენება; ბ) უნდა აშენდეს პირველი ხარისხოვანი ძირითადი რაიონული ელექტრონის სადგურები და გაკეთდეს ელექტრონის გადასაცემი უმთავრესი ხაზები ქარხნების მოქმედებათა ფარგლის სათანადო გაფართოებით ელექტროტეხნიკურ მოწყობილებათა გასაკეთებლად; გ) უნდა გაკეთდეს ხარისხოვანი რაიონული სადგურები, განვითარდეს ელექტრონის ქსელები, მნიშვნელოვანი წარმოების პროცესთა თანდათანი ელექტროფიკაცია მოხდეს; დ) უნდა მოხდეს ავრეთვე მრეწველობის, ტრასპორტისა და მიწათ-მოქმედების ელექტროფიკაცია. აი ამ უმთავრეს სამეურნეო გეგმიდან, რომელიც სულ მალე ხანში უნდა განხორციელდეს, უნდა გამოდიოდენ საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცენტრები. მათ უნდა მოიწვიონ თავისი უმთავრესი ძალები და იხმარონ საშუალება ყოველ სამეურნეო ძირითად საკითხის გადასაჭრელად გარეშე ვაჭრობა, რამდენათაც მისი შესაძლებლობანი საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე იხსნება, მთლიანად უნდა დაუმორჩილოს ძირითად სამეურნეო გეგმას. ძირითადი მიზნის დამამარე წარმოება უნდა განვითარდეს იმის და მიხედვით, თუ რამდენათ აუცილებელია ივი. იმ წარმოებათ, რომელნიც აუცილებელი არ არის სამეურნეო პერიოდის ძირითადი მიზნისათვის, შეიძლება მხარი დაუჭიროთ იმდენათ, რამდენათაც მათი მუშაობა ხელს არ შეუშლის უმთავრესი მიზნის ცხოვრებაში გატარებას. ამის გამო მიმდინარე სამეურნეო მიზნები საბჭოთა სამეურნეო ცენტრებისა უნდა წარმოადგენდეს არა უბრალო ჯამს წინასწარ გამოანგარიშებულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა, არამედ მტკიცედ და თანდათანობით უნდა გამომდინარეობდეს ახლო დროში განსახორციელებლად დანიშნულ მთელ სამეურნეო გეგმიდან.

ფრანგული პრესა.

საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ ბელგიის გადაწყვეტილებას, რადგანაც იგი შეუერთდა საფრანგეთის სამხედრო ზომებს და გამოსთქვამენ აზრს, რომ რურის ოლქში მომხდარი არეულობა მოითხოვს მოკავშირეთა თანხმობას და მჭიდრო შეკავშირებას.

ერთა ლიგის საბჭო პარასკევს განიხილავს საკითხს სომხეთის მანდატის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა ერთა ლიგას, რომ მან ამ საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს.

გერმანიის მთავრობამ საფრანგეთს 3 ჯერ მიმართა ნოტით რურში თავისი მოქმედების გასამართლებლად და ფრანკფურტის ოკუპაციის საწინააღმდეგოთ; გერმანია მოითხოვს იმ პირობის აღსრულების 3 თვით გადადებას, რომლის ვადა 10 აპრილს თავდება და რომელიც გერმანიის ჯარის პირად შემადგენლობის რიცხვის შემცირებას შეეხება.

ბრიუსელში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა ბელგიის მთავრობას საფრანგეთის მთავრობის მადლობა გადასცა, მისი სოლიდარობის გამო, რომელიც მან გერმანიის ქალაქების ოკუპაციის გამო გამოსთქვა.

ლეიტენანტი მასიერო, რომელიც რომიდან ტოკიოში მიფრენს, იბონში (სიამში) მივიდა.

პარიზში მყოფმა ინგლისის ელჩმა მილიერანს ინგლისის ნოტა გადასცა. საღამოს მინისტრთა საბჭოს მეორე სხდომა შესდგა, რომელზედაც განიხილეს ეს ნოტა. ამის გამო ლონდონში მყოფ ელჩს პოლ კამბონს ინსტრუქციები გადასცეს. მან ლოიდ ჯორჯს უნდა გადასცეს საფრანგეთის საპასუხო ნოტა. ნოტის შინაარსი აუწყეს პარიზში მყოფ ინგლისის ელჩს ლორდ დერბის.

ჰავასის სააგენტო იუწყება საერთო შინაარს მილიერანის ნოტისას, რომელიც ინგლისის მთავრობას გაეგზავნა. საფრანგეთის მთავრობა პირველად ყოვლისა ამტკიცებს, რომ მისი მოქმედების ლოიალობა არავითარ ეჭვს არ ბადებს. მოკავშირეებს ყოველთვის აფრთხილებდნენ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველთვის მტრულად უყურებდა რურში გერმანიის დამატებითი ჯარის შესვლას.

ერობა

შორაპნის მაზრის საოლქო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა მარტის 14.

მოლითის თემი.

მოლითის თემიდან მოხსენებას აკეთებს კ. გუდაძე, რომელიც ამბობს, გამგეობის არჩევნები მოხდა 12 დეკემბერს. თემი მოთავსებულია მთა-გორიან ადგილებში, სივრცით დიდია. თემს გარდა ბექათუბნის საზოგადოებისა შემოუერთდა ლეღვნის, რომლის კომისარიატის ჩაბარება დღემდინ არ მოხერხებულა. გამგეობას საზოგადოება უყურებდა, როგორც მოსამართლეებს, საიდანაც ელოდა შველას, რის გამო სხვა და სხვა ხასიათის საჩივრები ბევრი მოსდიოდა, როდესაც გამგეობა მათ სასამართლოზე მიუთითებდა ეს მას ძლიერ ეჩოთირებოდა, ვინაიდან სამომრიგებლო სასამართლო არის ხარაგოულში, რომელიც თემს ძლიერ დაშორებულია. გამგეობამ მიიღო ზომები ლოთობის წინააღმდეგ დაჯარიმებით და სხვა ამგვარი ზომებით, რამაც ლოთობა ძლიერ შეასუსტა. თემი შესდგება 16 სოფლისაგან, სადაც არსებობს შვილი სასწავლებელი. გამგეობა ცდილობს სხვა სოფლებშიაც მოაწყოს ეს უკანასკნელნი. გზების გასაკეთებლად იქმნა შემდგარი საგზაო კომისიები, მხოლოდ ყველა გზების გაკეთება თემს არ შეუძლია თავის ხარჯით, ვინაიდან ბევრგან არის გასაჭრელი კლდეები, რასაც დიდი ფული სჭირდება, ამიტომ საჭიროა სამაზრო ერობის დახმარება; ისე გზების შეკეთებას ხელი შეუშალა დიდმა თოვლმა, რის გამო შეკეთებულია მხოლოდ ორი გზა. მომრიგებელი მოსამართლისათვის არის მოწყობილი ბინა, ამიტომ გამგეობას სასურველად და აუცილებლად მიაჩნია, რათა მომრიგებელი მოსამართლე კვირაში ერთხელ მაინც ადიოდეს თემში და არჩევდეს ადგილობრივ საქმეებს. დეზერტირები თითქმის აღარ მოიპოებიან. გადასახადებიც ცოტა არის მოსაკრები. საბჭოს დადგენილებით თემის ფარგლებიდან გატანილ საქონელზე არის შემოღებული სხვა და სხვა სახის დაბეგვრა. სურსათის შეძენა გამგეობამ ფინანსიური უსახსრობის გამო ვერ მოაწყო, დაადგინა შემოღებული ნატურის სესხი თემში, სიმინდის და ხორბლის აღებით, და მიეწოდებინა ძლიერ მსაჭიროებლებისათვის. ღალის საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, რადგან გამგეობას არა აქვს ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები, თუ ვისგან რამდენია აღებული ან ასაღები.

ამაშუკეთის თემი

ამაშუკეთის თემისაგან მოხსენებას აკეთებს ვლ. საბუაძე. თემის გამგეობა შეუდგა მუშაობას 16 დეკემბრიდან წ. წ. პირველიდანვე ის შეუდგა გზების კეთებას, სკოლებისას და სხვა. საჩივრები გამგეობაში არ შემოსულა, ვინაიდან იქვე ახლოს არსებობს მომრიგებელი მოსამართლე და მოქალაქენი პირდაპირ მას მიმართავენ ხოლმე. თემში არსებობს „იარმუკა“, რომელიც საბჭოს დადგენილებით გაიცა იჯარით. გადასახადები ძველი თითქმის მთლად აკრებილი იყო კომისარის მიერ, ახალი გადასახადებიც მალე აიკრიბება და შეიტანება ხაზინაში. შემოსავალი გამგეობას არსაიდან არ აქვს. აღებული ღალა (35 ფუთი სიმნდი და ორასი კონა ჩალა) სამაზრო ერობის განკარგულებით დაურიგდა ხალხს. გზების და ხიდების კეთებას ხელს უშლის ყოფილი თავად-ზნაურობის ჯიუტობა მუშაობაში მონაწილეობის არ მიღებით, რაც ძლიერ აფერხებს უკანასკნელების კეთებას, რის გამოც არის განსაკუთრებული განკარგულება გაცემული. დეზერტირები თითქმის არ არიან თემში გარდა ერთისა, რომელიც ამ დღეებში წარედგინება სამაზრო ერობის გამგეობას.

საზანოს თემი.

საზანოს თემიდან მოხსენებას აკეთებს წარმომადგენელი ბუცხრიკიძე. საბჭო შესდგება 23 ხმოსნისაგან, რომლიდანაც ნაწილი არ ღებულობს მონაწილეობას სხდომებზე, მიზეზათ მომხსენებელი ასახელებს გამგეობის ბინისათვის ყველასათვის შესაფერ და მოსაწონ ადგილის უშონლობას. გამგეობა იქმნა არჩეული 18 ოქტომბერს. სკოლების შეკეთებას გამგეობა შეუდგა შინაური სესხის აღების სახით. გზების შესაკეთებლად სამაზრო ერობის გამგეობის დახმარებით არჩეულია საგზაო კომისიები, სურსათის შეძენა გამგეობამ სცადა კახეთში ხალხისაგან აღებული სესხის საშუალებით, მაგრამ კახეთში ეს უკანასკნელი ვერ იშოვნა. აფხაზეთიდან კი სიმინდის გამოტანა შეუძლებელი შეიქმნა, თუმცა ეს უკანასკნელი მან იქ კი იშოვნა. ღალა რაც იყო გაიყიდა ფუთი 180 მანეთად, რომელმაც შესძლო მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის დაკმაყოფილება მცხოვრებლებისა. გადასახადების საქმე კარგად მიმდინარეობს, არის ძლიერ ცოტა ნაწილი ასაკრები.

ჩხიროულის თემი.

ჩხიროულის თემიდან ე. ჩინჩალაძე მოხსენებას აკეთებს. თემის გამგეობამ კომისარიატი 18 დეკემ. გადმოიბარა, ვინაიდგან თემს არავითარი სახსარი არ მოეპოებოდა სურსათის შესაძენათ. საბჭოს დადგენილებით მოკრებილ იქნა თვითეულ ცოტათი შეძლებულ მოსახლიდან სამი ოყა სიმინდი, რომელიც ბოლოს გამგეობამ დაურიგა უღარიბეს მოქალაქეებს, ნებართვა ასეთი მოქმედებისა გამგეობას ჰქონდა მიღებული სამაზრო ერობის გამგეობიდან. დეზერტირები თემში აღარ მოიპოებიან. შკოლისათვის შესაძენ შენობის გადახდაში უარი განაცხადა ყოფილმა თავად-აზნაურობამ და სასულიერო წოდებამ. გზები არ შეკეთებულა დიდი თოვლის გამო. სკოლებს გამგეობა ვერ დაეხმარა უსახსროების გამო. სურსათის ნაკლებობის გამო გამგეობამ დაადგინა, რომ სურსათი თემის ფარგლებიდან არ გაზიდულიყო. სამაზრო ერობამ ეს დაადასტურა და ცხოვრებაშიდაც გატარდა.

ჭორეთის თემი.

ჭორეთის თემიდგან მოხსენებას აკეთებს გრ. ჭიჭინაძე, რომელიც ამბობს თეთის გამგეობა მუშაობას შეუდგა წ. წ. 13 დეკემბრიდან. პირველ ყოვლისა გამგეობა შეუდგა სკოლების საქმის მოწესრიგებას, რომელიც ცოტათ თუ ბევრად მოაწესრიგა. დიდ უსიამოვნებას იწვევს საზოგადოებაში აპეჯუნების საქმე, რომლის ამორჩევა საზოგადოებას არ შეუძლია უმოსამართლოდ. სასამართლოში კი ეს უკანასკნელი დიდ ხარჯებს იწვევს, საჭიროთ მიაჩნია ამ საქმის გამგეობის ხელში გადატანა. სურსათის შეძენისთვის გამგეობამ მიმართა მთავრობას, სესხისთვის რაც გამოიხატებოდა 1000000 მანეთში, მაგრამ ეს უკანასკნელი მან ვერ შესძლო,

შემდეგ გამგეობამ მიმართა შინაურულ გზით დაეწესებია სასურსათო თანხა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მან მოკრიბა უფრო მდიდარ მოქალაქეებიდან სიმინდი, რაც გაყიდა დააწესა ევრეე-წოდებული სასურსათო ფონდი. მღვდლები მოქმედებენ თავის ნებაზე. იღებენ მოქალაქეთაგან მღვდელ-მოქმედებაში დიდ სასყიდლებს, რაც იწვევს საზოგადოებაში დიდ უსიამოვნებას. ღალა ქორეთის თემში ბლომად არის მოკრებილი.

ჭალის თემი.

მოხსენებას აკეთებს აბაშიძე. გამგეობამ დაიწყო მუშაობა 16 დეკემბერს. ეს თემი არის შემდგარი არგვეთისა და ჩიხის საზოგადოებებიდგან გამოყოფილი. გამგეობამ, შედგენისათანავე დაიჭირავა ადმინისტრაცია, რომელიც მაშინვე შეუდგა გადასახადების აკრებას. ვინაიდგან ჭალის თემი დიდია 2 მილიციელი საკმაო არ აღმოჩნდა, ამიტომ შეადგინა პოსტი 4 მილიციელით ოსეთში. ოსეთში აღდგენილი კომისარიატი გამგეობამ გააუქმა და დაუმორჩილა თემის გამგეობას, რასაც საზოგადოება დიდი სიამოვნებით შეხვდა. იყო შემთხვევა ოსებმა მოითხოვეს ქართველი მასწავლებელი ოსის მაგიერ, რაც სამაზრო ერობის გამგეობამ დააკმაყოფილა. გზების გაკეთების შესახებ იყო მიღებული ზომები, რის გაკეთებასაც დიდმა თოვლმა ხელი შეუშალა. მიღებულია ზომები თემში არსებულ წყლებზე, ხიდების გასაკეთებლად. მთელი თემი დასახლებულია მთა-გორიან ადგილებზე—ტყეში, რომელიც გაჩეხისაგან დაცულია დიდი ხნით, მხოლოდ ეხლა ვერ მოუხმარიათ თავის ჭკუაზე მცხოვრებთ. მწვავედ სდგას აგრეთვე აპეკუნობის დანიშვნის საკითხი, რომელიც, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნეს მოგვარებული.

შროშის თემი.

შროშიდან მოხსენებას აკეთებს შველიძე (კომისარი), რომელიც ამბობს, რომ თემი არ მოწყობილა. ჯერ ამას ხელს უშლის საზოგადოებაში თემისათვის ცენტრის გამონახვის და სახელმწიფოებრივი საკითხი. მოქ. ამბროსი ებანოიძე განმარტავს მიზეზს თემის მოუწყობლობისას, რომელიც ამბობს, რომ ორმა პიროვნებამ (მღვდლებმა) სიმ. მჭედლიძემ და კ. ღამბაშიძემ გადაჭიდეს ერთმანეთზე მოქალაქენი, რამაც გამოიწვია თემის მოწყობის დაგვიანება.

ბოსლევის თემი.

ბოსლევის თემიდან მოხსენებას აკეთებს იასონ ქებაძე. თემის გამგეობა ამოირჩა 26 იანვარს. მისდა მიხედვით, თუ რამდენი დრო არის მის შემდეგ, ძალიან ცოტა ნამუშევარი აქვს თემის გამგეობას. თემში, დაახლოებით 1500 კომლია, ხმოსანთა რიცხვი საბჭოსი უდრის ოცს; ამაში 8 სოც.-დ., 6 სოც.-რევ. და 6 სოც.-ფედერ. ასეთი სიჭრელე ძალიან ცუდ მდგომარეობას ჰქმნის გამგეობის მუშაობისათვის. გადასახადები თანდათან იკრიბება, გამგეობას ჰყავს ორი მილიციელი. ავაზაკობას არ აქვს ადგილი თემში. არის ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი თემში, რომლის ხარჯებიც ძველი კომისრის საშუალებით 10,000 მან. გაწერილი, შეგროვილი იქმნა, რაც ინახება სასწავლებლის გამგესთან და სათემო ერობ. გამგ. ამის შესახებ არავითარი ანგარიში არ მოუწოდებია. ღალები ბოსლევის თემში არ მოიპოვება, რადგან სახელმწიფო ფონდში გადასული ადგილები არ მოიპოვება. ფინანსიური მხარე თემისა ძლიერ ცუდია ასე, რომ გამგეობის წევრი—მდივანიც კი გაფიცვით იმუქრება—უკე თუ მას ჯამაგირს არ მისცემენ საზოგადოების კომისარიატს ყველა ანგარიშები კომისარიატისა გამგეობისათვის ვრცელად არ ჩაუბარებია.

კიცხის თემი.

კიცხის თემის წარმომადგენელი ხიჯაკაძე—თემის გამგეობამ მოქმედება დაიწყო 8 დეკემბერს წ. წ. გამგეობა შეუდგა შკოლების შენობების შეკეთებას. მომხსენებლის აზრით საჭიროა ერთი ხიდის გაკეთება იმ მდინარეზე, რომელიც ორ სოფელს ყოფს შუაზე. გამგეობამ შეიმუშავა სასიმინდე წისქვილებზე, რომლის თანახმად მეწისქვილეებს არ შეუძლიათ 1 გირვანქა მინდის აღება ბათმანზე დაფქვისათვის.

ლაშე-ღვერკის თემი.

ლაშე-ღვერკის თემიდან მოხსენებას აკეთებს ბ. ცკიტიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ლაშე-ღვერკის თემი, როგორც ახალი, ყველაზე გვიან შეუდგა მუშაობას. გამგეობამ დაიწყო მუშაობა 8 თებერვალს. მას შემდეგ დიდის გაკეთება არასფრის შეიძლებოდა, რომ საზოგადოების ყურადღება მიგვექცია. თემში არის ერთი მაღალ-დაწყებითი სასწავლებელი, რომლისთვისაც შენდება ორ სართულიანი შენობა. გზებიც უნუგეშო მდგომარეობაშია, ვინაიდან ამ დარგში, უამინდობის გამო, გამგეობამ ვერასფრის გაკეთება ვერ შესძლო. სურსათის მხრივ თემი დიდ კრიტიკულ მდგომარეობაშია, და თუ სამაზრო ერობამ დროზე ვერ შესძლო სურსათის მოწოდება, თემში დიდი სიმშილია მოსალოდნელი. დაბეგვრა არასფრის არ მომხდარა. თემის ფარგლებიდან სასტიკათ აკრძალულია სიმინდის, ლობიოს და სხვა სურსათის გატანა. მედიკო—სანიტარული მხრივ თემი ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაშია; სხვათა შორის, ორი ოჯახის მთელი შემადგენლობა იმსხვერპლა სენმა. გამგეობას განზრახული აქვს 3 სკოლის გახსნა, თემი შესდგება 400-მდე კომლისაგან. თემის არსებობის შესაძლებლობის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ ეს შეიძლება—შეუძლებელია მაგრამ ამას მოითხოვს საზოგადოების დიდი უმეტესობა და უმცირესობაც მას დაემორჩილა და იქნა დაარსებული ლაშე-ღვერკის თემი. გამგეობის წევრებს ორს აქვს ჯამაგირი თითოს 1500 მან. მესამე კი უჯამაგიროა. გამგეობა დროებით მოთავსებულია ნაქირავებ ბინაზე, რომელსაც სასწავლებლის შენობის დამთავრების შემდეგ დაეთმობა ბინა სასწავლებლის შენობაში.

(შემდეგი იქნება)

ცფილისის ქალაქის გამგეობისგან.

მოქალაქეთა საყურადღებოდ. ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო პროექტი იმ კანონისა, რომელმაც უნდა დააწესოს ახალი ფასები ყოველგვარ ბინებისათვის. ბევრს, როგორც სახლის პატრონს ისე ბინის დამქირავებელს ეს პროექტი ისე გაუგია ვითომ უკვე დაკანონებული იყოს ფასების მომატება ბინებზე. ამ ნიადაგზე ხდება უთანხმოება და ათასნაირი გაუგებრობა. ყოველივე ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ რომ მართალია შემუშავებულია ერთგვარი პროექტი ბინებზე ახალი ფასების დაწესებისა, მაგრამ იგი დამფუძნებელ კრებას ჯერ არ განუხილავს და არ მიუღია. ამიტომ ვიდრე ეს ახალი კანონი არ გამოსულა, ძალაში რჩება 1917 წლის აგვისტოს 5-ის კანონი და არავის ნება არა აქვს დააწეროს ფასები წინააღმდეგ კანონისა და მოსთხოვოს მდგმურებს გადიდებული ქირა.

ქალაქის მოურავი **ბ. ჩხიკვიშვილი.**

ქართული ენის სახელმძღვანელო

(დასასრული).

მშვენიერია დუტე მეგრელის „დაშორებული“, მაგრამ მესამე კლასისთვის იქ ბევრი რამ იქნება გაუგებარი, მამებისა და შვილების იდეიურად დაშორების საკითხი არც ისე იოლი რამ არის, რომ მესამე კლასის შეგირდმა შეიგნოს სათანადოდ. მესამე წიგნში ეს მოთხრობა და მეოთხეში „პალიასტომის ტბა“ პირდაპირ შეუფერებელია. შეუფერებელია აგრეთვე დ. კლდიაშვილის გაცნობის დაწყება „სამანიშვილის დედინაცვლით“დ ისიც მეოთხე კლასიდან. რა უყვეს ჩვენმა ავტორებმა „სოლომონ მორბელაძე“? მასთან „სამანიშვილის დედინაცვალს“ მეოთხე კლასში გავლა, ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია. მეოთხე კლასის ბავშვებისთვის სრულიად გაუგებარი იქნება ბარათაშვილის „სულო ობოლო“ და „მერანი“, ამიტომ ეს ლექსები ამ წიგნიდან უნდა ამოღებული იქნას. ძნელია აგრეთვე ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“, მის ადგილს შეიძლებოდა „ბახტრიონის“ მოთავსება, ხოლო ვაჟას ისეთი პოემები, როგორიც არის „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა-ქეთელაური“ „გოგოთურ და აფშინა“ და „გველის მჭამელი“ უსათუოდ მაღალი კლასების მასალაა, სადაც უფრო მეტი მომზადება და ლიტერატურული განვითარებაა.

ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას მოკლებულია ლალიონის „ფირალი დავლაძე“ და ამიტომ არც ამ მოთხრობას უნდა ექნეს სახელმძღვანელოში ადგილი. ხოლო მისი „რაქვიან“ მშვენიერია. ქრესტომათიებში მასალების დალაგების შესახებ კიდევ შეიძლებოდა გვეთქვა რაიმე, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდებოდა,

მესამე და მეოთხე წიგნებში მთლიანი მასალებია მოთავსებული, ეს უსათუოდ დიდი ღირსებაა, მაგრამ სამაგიეროთ პირველი და მეორე წიგნი ამ მხრივ საკმაოდ მოიკოჭლებს, განსაკუთრებით პირველი, რომლის ავტორს ი. ოცხელს ბევრი ნაწყვეტი მასალა შეუტანია ამ წიგნში. ნაწყვეტი, რასაკვირველია, შეიძლება, თუ კი მას მთლიანი ხასიათი აქვს, მაგრამ ასეთი უცერემონიობა მაინც მავნებელია, რათა მასალა მოკლე გამოვიდესო და ამისთვის რომ დიდი მოთხრობები ერთიანად დავკუწოთ, არ შეიძლება, მიუღებელია პედაგოგიურის მხრივ. ტყვილა გონია ზოგიერთებს, რომ ბავშვებს მოკლე-მოკლე მოთხრობების კითხვა უყვართ. ორმა რუსის პედაგოგმა ბალტალონმა და რაევსკიმ აი რა საინტერესო ანკეტა მოახდინეს. ბალტალონმა ანკეტით გამოჰკითხა მოსკოვის დაწყებით შკოლის შეგირდებს, თუ რა გვარი მასალა მოსწონთ მათ საკითხავად. და აი როგორი პასუხი მიიღო მან:

1. რა უფრო გიყვართ საკითხავად? მოთხრობები—79%, ლექსები—22%, არაკები—8%.

2. როგორ გირჩევნიათ—თითონ კითხულობდეთ, თუ სხვას უსმენდეთ? თითონ—82%, სხვისი მოსმენა—23%.

3. რაზე უფრო გიყვართ კითხვა ადამიანებზე? ამ კითხვაზე დადებითად უპასუხა 72% (დიდების შესახებ 38%, პატარების 34%) ცხოველებზე?—28%, ბუნებაზე?—24%.

4. როგორი მოთხრობები გიყვართ გრძელი?—82%. მოკლე?—20%.

5. რა უფრო მოგწონთ სინამდვილე—82%, თუ ზღაპარი?—24%.

როგორც ამ საინტერესო ანკეტიდან ირკვევა ბავშვების დიდ უმეტესობას უყვართ თითონ იკითხონ გრძელი მოთხრობები, რომელიც დაწერილია ადამიანის შესახებ და რეალური შინაარსის არის. ასეთივე ანკეტა მოახდინა 23 ექვს სოფლის შკოლაში რაევსკიმ და იმანაც დაახლოვებით ასეთი პასუხები მიიღო. ასე რომ მოთხრობის სიპატარავე სრულებით არ არის იმავე დროს მისი იოლობისა და ინტერესის მაჩვენებელი. ამიტომ ნაწყვეტებით გატაცება არ არის მოსაწონი.

ნაწყვეტები მოთავსებულია მეორე წიგნშიც, თუმც უფრო მთლიანად.

ჩვენის აზრით კარგი იქნებოდა, რომ მოთხრობების ქვევით მაინც ყოფილიყო საწერი თემები მოთავსებული, ან საპასუხო კითხვები. ეს გარემოება ძალიან გაუადვილებდა შრომას ჩვენს მასწავლებლებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით მაინც საკმაოდ მოიკოჭლებენ ქართულ ლიტერატურაში. არა თუ ჩვენი, უფრო დაწინაურებულ ხალხთა სახელძღვანელოებშიც კი ნახავთ ამას. იმედია ეს ნაკლი მომავალში შესწორებული იქნება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ისეთ მასალას, რომელიც გამოდგება სიტყვიერების თეორიისთვის.

მასალების სარჩევი მხოლოდ ორ წიგნს აქვს დართული, ესეც ნაკლია და მომავალში უნდა შესწორდეს.

გამოცემას არაუშავს, ფასიც შესაფერია.

ვარლამ ხუროძე.

მოქალაქენო!

დედა ქალაქი ქართლისა გორი აღარ არსებობს! საშინელმა მიწის ძვრამ მოუღო მას ბოლო. მცხოვრებნი ათი ათასობით დარჩნენ უსახსროთ, უბინაოთ, შიშველნი და მშიერნი, თქვენკენ უჭირავთ მათ თვალი მოქალაქენო, თქვენგან ელიან ძმურ ნუგეშს და შველას ამ საშინელ განსაცდელ წამებში; სასტიკ მოვლენის საბრალო მსხვერპლთ მოელით უფრო უარესი დღენი, ზამთრის ყინვებში ცის ქვეშ ყოფნა, რადგან ღარიბნი მოკლებულ არიან სახსარს თავის ჭოხების აღსადგენათ. საჭიროა შველა, ბინების ასაშენებლათ, ამ მიზნით, მიწის ძვრისგან დაზარალებულმა მესაკუთრე მცხოვრებლებმა შეადგინეს საზოგადოება „პატრონი“, მიზნათ ამ საზოგადოებას აქვს აღდგენა სახლებისა, როგორათაც მესაკუთრეებისა, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც სცხოვრობდენ გორში დაქირავებულ სახლებში, რათა ისინიც გახდონ მესაკუთრეებათ. საქმის აღსრულებაში მოსაყვანათ საზოგადოებას აქვს აზრათ გამოითხოვოს გრძელ ვადიანი სესხი შეღავათიანი პირობებით, უძრავ ქონებათა ანუ ახლად აშენებულ სახლების გირაობით.

ეს დიადი საქმე, რომელიც იკისრა საზოგადოებამ, მხოლოდ მაშინ მოიყვანება აღსრულებაში, როდესაც თვით მთავრობა აღმოუჩენს შემწეობას, როგორათაც საზოგადო დაწესებულებანი და კერძო პირნი, მათი შემოწირულებანი სრულიად მოხმარდება უბინაოთა და ღარიბთა სახლთა აღსაშენებლად.

შემოწირულება მიიღება: ტფილისის ცენტრო ბანკში, პუშკინის ქუჩა, იქ მომუშავე მოხელესთან უფალ. გ. კაპანაძესთან; ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში პუშკინის ქუჩა, № 3, მოხელე დ. ზუბალაშვილთან; გრიგოლ დიასამიძესთან ოლგინსკის ქუჩა, № 4; ჭ. გორში საზოგადოების კანტორაში შოთა რუსთველის ქუჩა კნ. ნინა კ. ამილახვრის სახლში.

შემოწირულება ტანსაცმელის და შენობის მასალის გაგზავნილ უნდა იყოს პირდაპირ გორში ზემოხსენებული მისამართით.

პროვინციაში.

ბორჯომი. 9 აპრილს მოხდა ბორჯომის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სახალხო სახლში, რომელზედაც მოხსენება გააკეთა მომენტზე ქალაქის თავმა ვიქტორ ღლონტმა. კრება დიდი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და სხვა და სხვა შეკითხვების მომხსენებლისგან ახსნა-განმარტებით და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ბორჯომის ქალაქის თავის ვიქტორ ღლონტის თანამედროვე მომენტზე და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება-მოღვაწეობაზე დაადგინა: მოწონებულ იქნას ყოველივე გადადგმული ნაბიჯები მთავრობის მიერ და ის პოლიტიკა, რომელსაც ის აწარმოებს რევოლიუციის მონაპოვართა და საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და მუშა-მოსამსახურენი მზათ არიანმხარი დაუჭიროს მთავრობას ყოველივე მის გამოძახილზე დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

კრების თავმჯდომარე: ვალ. ზაქრაძე.

განცხადებანი

დაიკარგა 1. პასპორტი № 215 მიღებული შორაპნის მაზრის სამმართველოდან 1910 წ. ივანე ყარამანის ძე გველესიანის სახელზე. 2. სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო საკრებულოდან ამავე პირის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვლება.

656 3—1

დაკარგულია გ. გ. ადელხანოვის აქციონერულ საზ. ორი საბინაო დავთარი № 7636 (საერთო) და № 398 (ცალკე) ვორონცოვის ქუჩაზე № 82 მდებარე სახლის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 421 3—1

დაიკარგა პასპორტი № 987, მიღებული თელავის თვითმართველობიდან გიორგი ივანეს ძე ასბეგაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 654 3—1

დაიკარგა პასპორტი ოლღა ვასილის ასული პლოტნიკოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 655 3—1

ივანე იოსების ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ქუთ. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალურ კონტორიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

660 3—1

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი № 3707 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვიდარეევის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

663 3—1

დაიკარგა გორის გიმნაზიის 7 კლასის დამთავრების მოწმობა № 173 და ტფ. მეოთხე ქალთა გიმნაზიის 8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 და მეტრიკული ამონაწერი ლიბე ზეილიკოვის ასული ბროცკის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 667 3—1

ურბნისის საეპარქიო სასამართლოში შემოიტანა თხოვნა ალექსანდრა მელიტონის ასულმა ბუდალაშვილისამ, რომელითაც იგი მოითხოვს განქორწინებას უგზო-უკვალოდ დაკარგული მისი ქმრისაგან დავით ბუდალაშვილისგან. თუ ვინმემ იცის ამ უკანასკნელის ბინადრობა, ურბნისის სასამართლო მოუწოდებს დაუყონებლივ აცნობოს მას.

515 1—1

მისაკ ევიშას ძე შემოხიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკუთარი „პრაჩეშნი“ შესახვევში № 7 მდებარე სახლის ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 678 3—1

დაკარგულია პირადობის მოწმობა ხაია გორუხის ასული რაიჩუკის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 679 3—1

ბესარიონ ჭიტესას ძე მეტრეველი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გვარდიის წიგნაკი № 2648 ს. დ. პარტიის წევრობის მოწმობა 699 და ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20216. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
609 3—3

ივანე ალექსანდრეს ძე ბედიანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 146. მოწმობა პალატნიკოვის საბუღჰალტრო კურსების დამთავრების № 34 და ტფ. მიხეილის სახელობის ქალაქის სახელოსნო სკოლის დამთავრების ატესტატი № 448. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 610 3—3

დაკარგულია პასპორტი გაცემული ამიერკავკასიის კომისარიატისგან ბორის პეტრეს ძე უვაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 673 3—1

დაკარგულია პირადობის მოწმობა გიგო გუტუს ძე ჰოჰუას სახელზე. მიცემული ნახუნოვის თემის ერობის გამგეობისაგან 25 იანვრიდან 1920 წ. № 17. ჩაითვალოს გაუქმებულად. 416 1—1

დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი აცხადებს, რომ იგი აუქმებს მის მიერ სოფ. ფცაშის მცხოვრებ ისიდორ გიორგის ძე ოსაძის სახელზე გაცემულ მინდობილობის ქაღალდს, რომელიც დამტკიცებულია ქ. ბაქოში ნოტარიუს ტურბოვიჩთან 1920 წ. 21 იანვარს. 680 1—1

გვარდიელი პარმენ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეორე რაიონის გვარდიის შტაბიდან მიღებული წიგნაკი ვინტოვკის № 64468 და რევოლვერის № 26929 ნებართვით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 675 3—1

დაკარგულია სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების მოწმობა, გაცემული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ვასილი გრიგოლის ძე ისაკაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 658 3—1

ტფილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება, 2 ივნისის 1914 წლის კანონის 301 და 309|1 მუხლების ძალით, ამით აცხადებს, რომ ანნა ივანეს ასული და ალექსანდრე ზაქარიას ძე სილავები, რომელთა მისამართები არ იცის სასამართლომ, მოვალენი არიან, ალექსანდრე ივანეს ძის მასალკინის საჩივრის გამო მათ წინაღმდეგ 6900 მანეთის გადახდაზე ბარათით, განუცხადოს ამ სასამართლოს კანცელარიას ოთხი თვის განმავლობაში დღიდან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ განცხადების დაბეჭდვისა, რომ მათ აირჩიეს ქალაქ ტფილისში საცხოვრებელი ადგილი, ან დაასახელონ ის პირი, რომელიც სცხოვრობს ტფილისში და რომელსაც ისინი ანდობენ იმ ქაღალდების მათ მაგიერ მიღებას, რომელნიც გაგზავნილნი იქნებიან სასამართლოდან. სარჩელის თხოვნასთან წარმოდგენილია მოპასუხეთათვის ასლები სარჩელის თხოვნის და დანარათების. თუ ვინიცობაა მოპასუხენი არ განაცხადებენ, რომ საცხოვრებელი ადგილი აირჩიეს ქ. ტფილისში, შეიძლება დაინიშნოს სხდომა და გამოტანილ იქნება დაუსწრებელი განაჩენი.
0355 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა პარმენ პავლეს ძე ბუგიანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

ოჰანეზ კარაპეტის ძე კაპლანიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ოთხი ტალონი ასსიგნობის, მიღებული ქალაქ ტფილისის თვითმართველობიდან № 3649—1.500 მ., № 3650—1.500 მ., № 3801—1.585 მ. 60 კ. და № 3468—1.500 მ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
677 3—1

სახლები მამულები, აგარაკები, ნავთის საწარმოო და ზღვის პირას მდებარე მიწის ნაკვეთები, ტფილისში და მთელ კავკასიაში, საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებანი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა ღირებულებანი შეიძლება სასწრაფოთ და ხელსაყრელ პირობებში შეიძინოთ და გაყიდოთ „ინტელიგენტთა ჯგუფის“ საშუალებით; რომელსაც აქვს საუკეთესოთ მოწყობილი კლიენტურა „დიდი მოთხოვნილება და მოწოდება“. დავითის ქუჩა, № 3. ბინა 2. ტელეფონი 2—28. ტფილისის და ქალაქთაშორისო. 11—2 საათ. დილით და 5—7 საღამოთი. 676 1—1

ტფილისის მიხეილის სახელოვნების სამკურნალო

ამით აცხადებს, რომ ამ ჟამად თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი თერაპევტიულ განყოფილებაში. ამ ადგილის დაკავების მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა ამა წლის 20 აპრილამდე უფროს ექიმის სახელზე თვისი (curiculum vitae) დაწვრილებით აღწერით. 420 3—2

სიღნაღის

საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ:

კვირას 18 აპრილს დილის 11 საათზე, სიღნაღის ახალი კლუბის დარბაზში, დანიშნულია სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოების (ბანკის) წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო წლიური კრება, რომელიც განიხილავს შემდეგს კითხვებს:

1) განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ანგარიშისა.

2) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

3) ერთი გამგეობის წევრის, ორი საბჭოს წევრის, სამი სარევიზიო კომისიის წევრის და მათი კანდიდატების არჩევა.

4) სხვა და სავა საკითხები.

თუ ეს კრება ვერ შესდგა, მეორე დანიშნულია კვირას 2 მაისს და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს“.
427 1—1 გამგეობა.

დაკარგულია ბიძინა ირაკლის ძე რამიშვილის სიმწიფის მოწმობა, მიღებული ტფ. ქართული გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 685 3—1

დიმიტრი ნიკოლოზისძე ვალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ლეხოურის სოფლის სამმართველოდან, სათადარიგო წიგნაკი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 614 3—3

დაიკარგა სამი სამეჭევო გეგმები სოფელ დუმაცხოს მდებარე მამულის კოსტანტინე და ეკატერინე წერეთლების სახელზე და გაყრილობის განაჩენი დავით, მიხეილ და სხვა წერეთლების შორის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 671 3—3

ბოგი აღა ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქალ. ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1914 წ. 30 ნოემბერს № 7528. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 616 3—3

დაიკარგა პასპორტი მიხეილ ზაქროს ძე შაიშმელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 672 3—3

მიტრადორა ჯავრიშვილისა აცხადებს, რომ გან დაჰკარგა ვანო დედაბრიშვილის ბინის დავთარი, რომელიც მდებარეობს ყიფიანის უჩაზე № 10. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
535 3—3

პელაგია ალექსანდრეს ასული ტაგუტინისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. მეII კომისარიატიდან 1919 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
533 3—3

დაიკარგა სარდიონ დოლაბერიძის, დელეონის შესახვევში № 8, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
651 3—3

პლატონ სპირიდონის ძე კვანტალიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ნავაზეოს (სენაკის მაზრა) თემისაგან 1920 წელს და სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნების ნუსხა № 1 მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 532 3—2

დაკარგულია რუსეთ-სპარსეთის ნავთის ამხანაგობის „რუპენტოს“ შემდეგი პაიები მოცემული ა. ო. ავეტისოვის სახელზე: № 1573, 1574, 1575, 1576, 1577, 1578, 1579, 4580, 1581, 1582, 1583, 1584, 1585, 1586, 1587, 1588, 1589, 1590, 1591, 1592, 1593, 1594, 1595, და 1596, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
674 3 3

დაკარგულია პასპორტი, გაცემული მუხლის საზოგადოების კომისრისაგან (რაჭ. მაზრა) 1918 წ. ვასილი გიგოლის ძე ისაკაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 657 3—3

საქართვ. რკინის გზების სამმართველო

1920 წ. 20 აპრილისათვის დღის 12 ს. კონკურენციაზე დახურულ ბარათებით იწვევს იმ პირთ, ვისაც სურთ იყვარით აიღონ ერთი წლის ვადით ბუფეტები, სავაჭრო კარავები და საპირფარეშონი შემდეგ სადგურებზე: **ახალ სენაკის, ჩ ერის და ძირულის** ბუფეტები ცივი საჭმელებით **აგტაგლა** და **ხაშურ** ს; სავაჭრო კარავები: ხაშურის, ჭუთაისის, შორაპნის, ტფილისის, ფოთი-ნავთსადგურის და საჩხერის; საპირფარეშონი და აგრეთვე სასადილო ვაგონებში ბათუმ-ტფილისის № 1 და 2 ჩქარ მატარებლებში. განცხადების შეტანა შეიძლება პირადათ და აგრეთვე ფოსტით: განცხადებას უნდა თან დაერთოს საწინდარის გადახდის კვიტანცია შემდეგნაირათ: ბუფეტებისთვის 1000 მან., კარავების და საპირფარეშოებისთვის 500 მან. და ვაგონ-რესტორანებს ბუფეტისთვის 10,000 მან. საწინდარის შეტანა შეიძლება სამართველოს მთავარ სალაროში, ან და რომელიმე სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში თუ წინადადება მიღებული არ იქნება, საწინდარი უკანვე დაუბრუნდებათ. კონკურენციის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება საექსპლოატაციო ნაწილში 10—2 საათამდე. სამმართველო უფლებას იტოვებს გასცეს აღნიშნული ბუფეტები არა უდიდეს ფასის მიხედვითაც. 414 3—1

საორგანიზაციო კომიტეტი

ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკის ქ. ფოთში

ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 ამა აპრილს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1. ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკის გახსნა ქ. ფოთში და მიღება ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა თუ პასივისა,
2. ახლად დაარსებული ბანკის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
3. ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა;
4. ახლად დაარსებული ბანკის თანხის გადიდება სამ მილიონ ხუთასი ათასი მანეთიდან თუთხმეტ მილიონამდე, თერთმეტი მილიონის და ხუთასი ათასი მანეთის ახალი აქციების გამოშვებით, თანახმად წესდების § 6;
5. ახლად დაარსებული ბანკის პირველი გამოცემის აქციების ღირებულობის მეორე ნახევრის შემოსატანი ვადების აღნიშვნა, თანახმად წესდების § 5, აგრეთვე აღნიშვნა ვადებისა, რომლის განმავლობაშიაც უნდა იქმნეს შემოტანილი მეორე გამოცემის აქციების ფული;
6. ბანკის განყოფილების გახსნა საქართველოში და საზღვარ გარეთ;
7. სხვა და სხვა კითხვები;

ამასთანავე საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ თუ რაიმე მიზეზით დანიშნულ დღეს, 18 აპრილს, პირველი კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში კრება მიწვეულათ ჩაითვლება კვირას, 25 ამავე აპრილს, იმავე დროს, იმავე ალაგზე, ზემოაღნიშნული საკითხების განსახილველად.

ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკის
681 2—1 საორგანიზაციო კომიტეტი ქ. ფოთში.

ტფილისის საპყრობილეთა ინსპექცია

იწვევს საჯარო ვაჭრობაზე იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვთ მოაწოდონ ტფილისის საპყრობილეთა პატიმრების გამოსაკვებად ხორცი და ქონი საქონლის და ღორის, აგრეთვე პურის ფქვილი, სიმინდი ან სიმინდის ფქვილი, ან და გამომცხვარი პური, კარტოფილი, წითელი ფხალი, სამარხო ზეთი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, ტყემლის ტყლაპი, ბრინჯი, ხახვი, მწვანილი და შეშა. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ამა წ. 14 აპრილს დღის 12 საათზე, (სასამართლოს ქუჩა № 32) 410 3—3

მომარაგების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის № №	სერია.	ფურცლის.	გვარი და სახელი.	საქონელი.
6 მარტ.	1652	8	391	აზერბ. რესპ. განჯის გუბერნატ. გენერალ ხან-ბოისკის.	პაპიროსები.
„	1654	29	1420	მაკარ აბაშიძე და გირ. ჩიკვილაძე.	ღვინო კასრებით.
„	1655	„	1419	„ „ „ „ „	„ „
„	1657	8	375	გილზის ფაბრიკა „პობედა“.	გილზები.
„	1658	„	394	საქ. სახ. რკ. გზ. სასურს. კომიტეტს.	ბრინჯი და ნემსები.
„	1659	„	376	გილზის ფაბრიკა „პობედა“.	გილზები.
„	1660	„	377	„ „ „	„
„	1661	„	78	„ „ „	„
„	1662	8	352	ქავთარაძე პეტრე.	ხალიჩები.
„	1663	„	389	ვალცის რწმუნ. კაზაკის.	„
„	1664	29	1407	„ძმ. ქავთარაძეების“ თამბ. ქარხანა.	დამუშავებული თამბაქო.
„	1665	„	1417	საქ. კო-თა ცენტრ. კავშირს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1666	8	392	„ „ „ „	სხვა და სხვა თევზი.
„	1667	„	393	„ „ „ „	„ „ „ „
„	1669	28	1357	„სააქც. საზ. „ჟირომას“.	ბამბის ზეთი.
„	1670	„	1356	„ „ „	„ „
„	1671	„	1353	„ „ „	„ „
„	1672	„	1354	„ „ „	„ „
„	1673	27	1339	„ბოზარჯიანცი“-ს თამბ. ფაბრიკა.	ცარიელი ტომრები.
„	1674	„	1340	„ „ „	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1675	„	1342	„ „ „	„ „ „ „
„	1676	„	1343	„ „ „	„ „ „ „
„	1677	„	1344	„ „ „	„ „ „ „
8 მარტ.	1679	8	385	გორის რაიონულ კოოპერატივს.	კომბოსტო.
„	1680	„	384	„ „ „	„
„	1681	„	383	„ „ „	ჭარხალი.
„	1682	7	339	სომხ. სამხ. უწყების წარმომ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1683	—	—	ამიერ-კავკ. რუსთა ნაც. საბჭოს.	ჭიშმიში.
„	1686	8	400	იტალო-კავკ. ბანკის წარმომ.	ფოთლოვანი თამბაქო.
„	1687	28	1400	დავულოვი მაბენ.	მომპასიე, პაპ. ქაღალდი ნაჭრებ.
„	1688	29	1408	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	1690	„	1427	საქ. კო-თა ცენტრ. კავშირს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1692	„	1409	„ენფიანჯიანცის“ თამბ. ფაბრიკ.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1693	„	1410	„ „ „	„ „ „ „
„	1694	„	1411	„ „ „	„ „ „ „
„	1695	„	1412	„ „ „	„ „ „ „
„	1696	„	1413	„ „ „	პაპიროსები.
„	1697	„	1428	„კომეტა“-ს თამბ. ფაბრიკ.	„
„	1698	„	1429	ტფილისის სპილ. ქარხანას.	ფურცლოვანი სპილენძი.
„	1699	„	1430	„ „ „	„ „
„	1700	„	1431	„ „ „	„ „
„	1701	„	1432	„ „ „	„ „
„	1702	„	1433	„ „ „	„ „
„	1703	„	1436	„ძმ. ქავთარაძეების“ თამ. ფაბრ.	დამუშ. თამბაქო.
„	1704	„	1437	„ „ „ „	„ „
„	1705	„	1434	„ „ „ „	„ „
„	1706	„	1435	„ „ „ „	„ „
„	1708	„	1421	ისარალოვი პეტრე.	საბარგო შინები.
„	1709	8	399	საბერძნეთ. მირის წარმომ. ხარატოვს და კარალის.	ბრინჯი.